

## საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N8 - მობილ ბანკი

1. **მობილ ბანკის** საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილია მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ინფორმაცია, შეასრულოს **გადახდები** და მართოს **ანგარიშები**.
2. იმისათვის რომ **კლიენტმა** ისარგებლოს **მობილ ბანკით** იგი უნდა ფლობდეს Android-ის ან iOS-ის საოპერაციო სისტემაზე მომუშავე სმარტფონს.
3. **მობილ ბანკის** აპლიკაციის (დასახელებით: BOG mBank - Mobile Banking) ჩამოტვირთვა/განახლება შესაძლებელია Apple-ის ოფიციალური პორტალიდან AppStore, ან Android-ის ოფიციალური პორტალიდან Google Play Store, რისთვისაც **კლიენტს** უნდა გააჩნდეს შესაბამისი პორტალის მომხმარებლის სახელი და პაროლი.
4. თუ **კლიენტი** დარეგისტრირებულია **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში** და სარგებლობს **მარტივი ავტორიზაციის** მეთოდით, **მობილ ბანკის** გასააქტიურებლად მან **მობილ ბანკის** აპლიკაციის ჩამოტვირთვის შემდეგ, შესაბამის ფორმაში უნდა შეიყვანოს **მომხმარებლის სახელი** და **პაროლი**, ხოლო იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** სარგებლობს **რთული ავტორიზაციის** მეთოდით, **მობილ ბანკის** აქტივაცია საჭიროებს დამატებით **ერთჯერადი კოდით** დადასტურებას, რომელსაც **კლიენტი** მიიღებს **ფინანსურ ნომერზე** ან/და **ბანკში** დაფიქსირებულ ელექტრონულ ფოსტაზე. თუ **კლიენტი** სარგებლობს **Digipass-ით**, შესაძლებელია **Digipass-ით** დაგენერირებული **ერთჯერადი კოდის** გამოყენებაც.
5. **მობილ ბანკში** ნებისმიერ **კლიენტს** ავტორიზაციის გარეშე საშუალება აქვს:
  - 5.1. დაუკავშირდეს **ტელეფონ ბანკს**;
  - 5.2. მიიღოს ინფორმაცია:
    - 5.2.1. **ბანკომატების, სერვისცენტრების ან თვითმომსახურების ტერმინალების** შესახებ, მათ შორის მოძებნოს უახლოესი **ბანკომატი, სერვისცენტრი ან თვითმომსახურების ტერმინალი**;
    - 5.2.2. საქართველოს ეროვნული ბანკის ან **ბანკის** მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსების შესახებ;
  - 5.3. განახორციელოს გადახდები **ბარათის** გამოყენებით;
  - 5.4. შექმნას გადახდების/გადარიცხვების **შაბლონები** (მათ შორის თემატური **შაბლონები**, მაგ. „ჩემი სახლი“, „ჩემი მანქანა“ და სხვ.);
  - 5.5. დაიმასხვროს/შეინახოს **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი**;
  - 5.6. გააზიაროს გადახდის ქვითარი.
  - 5.7. დარეგისტრირდეს **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**.
6. წინამდებარე **დანართის მე-5 პუნქტში** მოცემულის გარდა, **მობილ ბანკში** მხოლოდ **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში** დარეგისტრირებულ **კლიენტს** საშუალება აქვს:
  - 6.1. აღადგინოს/შეცვალოს **მომხმარებლის სახელი** და **პაროლი**, **ავტორიზაციის** მეთოდი, ხოლო **რთული ავტორიზაციის** მეთოდის მქონე **კლიენტების** მიერ დამატებით შესაძლებელია ამ **დანართის მე-13 პუნქტით** განსაზღვრული **ოპერაცი(ებ)ის** დადასტურების მეთოდის ცვლილება, თუ **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს;
  - 6.2. თავიდან გაააქტიუროს დეაქტივირებული **მობილ ბანკი**;
  - 6.3. აირჩიოს **მარტივი ან რთული ავტორიზაციის** მეთოდი. ამასთან, ერთ-ერთი მეთოდის არჩევისას **კლიენტი** უფლებამოსილია დამატებით ისარგებლოს:
    - 6.3.1. პას კოდის ან/და თითის ანაბეჭდის ავტორიზაციით;

- 6.3.2. სახის ამოცნობის (face ID) (მხოლოდ iOS-ის საოპერაციო სისტემაზე მომუშავე სმარტფონების შემთხვევებში თუ შესაბამისი სმარტფონი აღჭურვილია სახის ამომცნობის ფუნქციით) ავტორიზაციით.
- 6.4. შეცვალოს **მომხმარებლის სახელი** ან/და **პაროლი**;
- 6.5. მიიღოს ინფორმაცია:
  - 6.5.1. **ანგარიშებზე, კრედიტებზე, საკრედიტო ბარათებსა და ანაბრებზე (დეპოზიტებზე);**
  - 6.5.2. დაგროვების პროგრამების შესახებ (Express ქულები, MR ქულები, sCool-ები, **ელექტრონული ყულაბა**);
  - 6.5.3. უახლოესი გადასახდელების შესახებ (კრედიტი, საკრედიტო ბარათი, **საკომისიო**, კომუნალური გადახდები);
- 6.6. გადაიხადოს კომუნალური და სხვა სახის გადასახადები;
- 6.7. შეასრულოს გადარიცხვის **ოპერაციები**;
- 6.8. გამოიყენოს **ინტერნეტ ბანკში** შექმნილი შაბლონები;
- 6.9. გააფავორიტოს ან არ გამოაჩინოს **ანგარიშები**;
- 6.10. დაბლოკოს/განბლოკოს **ბარათები**;
- 6.11. გაააქტიუროს ან გამორთოს **ბარათის დაცვის მომსახურება** და **ბარათის 3D უსაფრთხოება**;
- 6.12. დაბეჭდოს/გააზიაროს **ანგარიშის რეკვიზიტები**;
- 6.13. დაბეჭდოს/გააზიაროს გადახდის ქვითარი ან **საგადახდო დავალება**;
- 6.14. მოძებნოს სასურველი მოდული ან ინფორმაცია მის მიერ შესრულებულ **ოპერაციებთან** დაკავშირებით;
- 6.15. გაააქტიუროს/გამორთოს **ელექტრონული ყულაბა**;
- 6.16. გადაცვალოს Express ქულები;
- 6.17. გააქტიუროს/გამორთოს **მობილ ბანკის** აპლიკაციის შეტყობინებების (PUSH ნოტიფიკაციები) ფუნქცია; ამ პუნქტის მიზნებისთვის, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად გამორთოს **კლიენტის** მიერ გააქტიურებული შეტყობინებების (PUSH ნოტიფიკაციები) ფუნქცია, იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი 6** (ექვსი) თვის განმავლობაში არ ისარგებლებს **მობილ ბანკის** აპლიკაციით;
- 6.18. შეცვალოს/დაამატოს **ბანკში** დაფიქსირებული საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის მისამართი, ტელეფონის ნომერი **ფინანსური ნომერი** და ელექტრონული ფოსტა;
- 6.19. გახსნას ან/და დაარღვიოს ანაბარი (დეპოზიტი);
- 6.20. შეუკვეთოს **ბარათი**;
- 6.21. შეასრულოს **QR გადახდები** ამ დანართის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- 6.22. გააქტიუროს **ბანკის** საკრედიტო შეთავაზება(ები) (მათ შორის საკრედიტო ბარათ(ებ)ი) ან/და ანაბრით (დეპოზიტით) უზრუნველყოფილი **კრედიტი, ბანკში** დადგენილი **ლიმიტ(ებ)ის** შესაბამისად;
- 6.23. მოახდინოს **ბანკის** მიერ განსაზღვრული ტიპის ანაბარზე (დეპოზიტზე) თანხის დამატება;
- 6.24. დაფაროს **ბანკის** მიერ განსაზღვრული ტიპის **კრედიტი** სრულად ან ნაწილობრივ;
- 6.25. მიანიჭოს **სანდო მოწყობილობის** სტატუსი მის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებულ მობილურ მოწყობილობას;
- 6.26. დაამატოს **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათ(ებ)ი** Wallet-ის აპლიკაციაში(ებში).
7. **კლიენტი**, რომელიც ფლობს **ბანკის ბარათ(ებ)ს** შესაძლებლობა აქვს **მობილ ბანკით** დარეგისტრირდეს **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**. რეგისტრაციისას **კლიენტი**

უთითებს ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ს რის შემდეგად უნდა მიუთითოს ერთჯერადი კოდი, რომელსაც მიიღებს ფინანსურ ნომერზე. ერთჯერადი კოდის წარმატებით მითითების შემდეგ, კლიენტი უთითებს სასურველ მომხმარებლის სახელსა და პაროლს ორჯერ.

8. **მობილ ბანკით პაროლის აღსადგენად შესაბამის ფორმაში კლიენტმა უნდა მიუთითოს ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი და ერთჯერადი კოდი, რომელსაც მიიღებს ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში დაფიქსირებულ ფინანსურ ნომერზე ან/და ელექტრონულ ფოსტაზე.** თუ კლიენტი სარგებლობს Digipass-ით, შესაძლებელია Digipass-ით დაგენერირებული ერთჯერადი კოდის გამოყენებაც.
9. **პას კოდით ავტორიზაციის გასააქტიურებლად, კლიენტმა შესაბამის ფორმაში უნდა შეიყვანოს მომხმარებლის სახელი და პაროლი, შემდეგ აირჩიოს პას კოდით ავტორიზაცია, შეარჩიოს სასურველი ციფრების კომბინაცია და დაადასტუროს.** ამ პუნქტის მიზნებისთვის, პას კოდით ავტორიზაცია შესაძლებელია მხოლოდ კლიენტის სარგებლობაში არსებულ ერთ კონკრეტულ სმარტფონზე.
10. **კლიენტს, რომელიც ფლობს მობილურ ტელეფონს და რომელსაც გააჩნია თითის ანაბეჭდის სკანერი, მობილ ბანკში ავტორიზაციისათვის შეუძლია პას კოდით ავტორიზაციასთან ერთად გამოიყენოს თითის ანაბეჭდით ავტორიზაციის მეთოდიც რა დროსაც აღარ მოითხოვება მომხმარებლის სახელის, პაროლის და ერთჯერადი კოდის მითითება.**
11. **მობილ ბანკში ავტორიზაციისას მომხმარებლის სახელის ან/და პაროლის ან/და პას კოდის სამჯერ არასწორად მითითების შემთხვევაში მობილ ბანკი დაიბლოკება 30 წუთით.**
12. **თუ კლიენტს არჩეული აქვს რთული ავტორიზაცია, ავტორიზაციის წარმატებით დასრულებისთვის კლიენტმა ავტორიზაცია უნდა დაადასტუროს ერთჯერადი კოდით, რომელსაც იგი მიიღებს SMS-ით, ელექტრონული ფოსტით ან Digipass-ით.**
13. **ერთჯერადი კოდით დადასტურებას საჭიროებს შემდეგი ოპერაციები:**
  - 13.1. **გადარიცხვა მესამე პირთან ან/და ბიუჯეტში.** ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, **ბანკის** მიერ **გადარიცხვის ოპერაციის ერთჯერადი კოდით** დადასტურება შესაძლოა არ იყოს მოთხოვნილი, იმ შემთხვევაში თუ გადარიცხვა სრულდება განმეორებით (პირველი გადარიცხვის შესრულებიდან 5 წლის განმავლობაში) ერთი და იმავე რეკვიზიტზე (მიმღების პირადი ან/და ანგარიშის ნომრის გამოყენებით)
  - 13.2. **ბარათის შეკვეთა და ბარათის დაბლოკვა/განბლოკვა;**
  - 13.3. **მომხმარებლის სახელის ან/და პაროლის შეცვლა;**
  - 13.4. **ანაზრის (დეპოზიტის) გახსნა/დარღვევა ბანკში დადგენილი ლიმიტ(ებ)ის შესაბამისად;**
  - 13.5. **ავტომატური გადახდების, მუდმივი საგადახდო დავალების, ელექტრონული ყულაბის ბარათის დაცვის სერვისის, ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისის, გააქტიურება;**
  - 13.6. **PUSH ნოტიფიკაციების ჩართვა/რედაქტირება/გამორთვა;**
  - 13.7. **SMS ბანკის გააქტიურება/რედაქტირება/გამორთვა;**
  - 13.8. **კლიენტის საკონტაქტო მონაცემების (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა, ფინანსური ნომერი) დამატება ან/და ცვლილება;**
  - 13.9. **შეთავაზებული (მათ შორის წინასწარ დამტკიცებული) კრედიტ(ებ)ის (მათ შორის საკრედიტო ბარათ(ებ)ის) აქტივაცია.** ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, კრედიტის აქტივაცია არ საჭიროებს ერთჯერადი კოდით დადასტურებას იმ შემთხვევაში თუ კლიენტი სარგებლობს რთული ავტორიზაციის მეთოდით (მათ შორის თუ რთული ავტორიზაციის მეთოდის მქონე კლიენტი

დამატებით სარგებლობს თითის ანაბეჭდით ან/და პასკოდით ან/და სახის ამომცნობით (face ID) ავტორიზაციით).

- 13.10. **ბანკის** მიერ განსაზღვრული ტიპის **კრედიტის** სრულად/ნაწილობრივ დაფარვა;
- 13.11. ანაბრით (დეპოზიტით) უზრუნველყოფილი **კრედიტის** აქტივაცია **ბანკში** დადგენილი **ლიმიტ(ებ)ის** შესაბამისად;
- 13.12. **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათ(ებ)ის** Wallet-ის აპლიკაციაში(ებში) დამატება.
14. იმ შემთხვევაში თუ **ავტორიზაციის** შემდეგ **მობილ ბანკში** უმოქმედოდ იქნება 5 წუთის განმავლობაში, **მობილ ბანკი** ავტომატურად დაიხურება და მისი ხელახალი გამოყენებისათვის (გარდა **ბარათით** გადახდისა) **კლიენტმა** უნდა გაიაროს **ავტორიზაცია** ხელახლა.
15. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეზღუდოს, შეცვალოს ან/და გააუქმოს **ავტორიზაციის** ან/და **ოპერაციის** შესრულების/დადასტურების მეთოდი.
16. **QR გადახდა** წარმოადგენს **ბანკის** მიერ შემუშავებულ გადახდის ერთ-ერთ მეთოდს, კერძოდ:
  - 16.1. **QR გადახდის** შესასრულებლად **კლიენტი** უნდა სარგებლობდეს **მობილ ბანკით** (ფოტო/ვიდეო კამერით აღჭურვილი მობილური ტელეფონით) და ფლობდეს აქტიურ **ანგარიშს**, რომელთანაც დაკავშირებულია აქტიური სადებეტო ან/და საკრედიტო **ბარათი** (**ბარათი** არ უნდა იყოს დაბლოკილი, ვადაგასული ან/და სხვა რაიმე ფორმით შეზღუდული გამოყენებისთვის).
  - 16.2. **QR გადახდის** შესასრულებლად **კლიენტმა** უნდა გაიაროს ავტორიზაცია **მობილ ბანკში**, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად. **QR გადახდის** შესრულებამდე საჭიროა მოხდეს **QR კოდის** წაკითხვა/სკანირება მობილური ტელეფონის ფოტო/ვიდეო კამერის მიხსლოების გზით.
  - 16.3. **QR გადახდის** შესრულების მიზნით **კლიენტი**:
    - 16.3.1. ირჩევს **საბარათე ანგარიშს**, საიდანაც სურს გადახდის შესრულება.
    - 16.3.2. **მობილ ბანკში** შეჰყავს გადასარიცხი თანხის ოდენობა და ადასტურებს **ოპერაციას** შესაბამისი დილაკით.
  - 16.4. იმისათვის, რომ შესრულდეს **QR გადახდა კლიენტის ანგარიშზე** უნდა იყოს **ოპერაციისათვის** საკმარისი თანხა და **ანგარიშზე** არ უნდა ვრცელდებოდეს რაიმე სახის შეზღუდვები (მათ შორის საჯარო სამართლებრივი).
  - 16.5. **კლიენტის** მიერ **ოპერაციის** დადასტურების შემდეგ შესაბამისი თანხა გადაირიცხება მიმღების ანგარიშზე.
  - 16.6. **კლიენტი** უფლებამოსილია **QR გადახდა** განხორციელოს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. იმ შემთხვევაში თუ **ანგარიშზე** რიცხვული თანხა უცხოურ ვალუტაშია **QR გადახდის** ინიცირების შემთხვევაში, განხორციელდება თანხის კონვერტაცია გადახდის დღეს **ბანკში** დადგენილი კომერციული კურსის შესაბამისად.
  - 16.7. **კლიენტი** უფლებამოსილია **მიმღების** თანხმობის შემთხვევაში, **მობილ ბანკიდან** მოახდინოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ინიცირება. ამისათვის **კლიენტმა** უნდა უზრუნველყოს შესაბამის ველში თანხის უკან დაბრუნებისთვის აუცილებელი **ერთჯერადი კოდის** შეყვანა, რომელიც **ბანკის** მიერ გაეგზავნება **მიმღებს**.
  - 16.8. **QR გადახდით** გადახდილი თანხის უკან დაბრუნება **კლიენტის** მიერ შესაძლებელია **ოპერაციის** განხორციელებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
  - 16.9. **QR გადახდით** გადახდილი თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ თანხის დაბრუნების ინიცირების მომენტისთვის **მიმღების**, **ბანკში** არსებული ანგარიში აქტიურია და **მიმღების** ანგარიშზე არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის შეზღუდვა (მათ შორის სამართლებრივი).



16.10. **QR გადახდით** გადახდილი თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება თანხის უკან დაბრუნების შესახებ მოთხოვნის ინიცირებიდან 2 (ორი) **საბანკო დღის** ვადაში.